


სათავეები

ვაჟა-ფშაველას მიხედვით



ილუსტრატორი:
მარა პათუმაშვილი



გაერს სულავაურის
გამომცემლობა

შობის საღამო იყო. ესტატე
ქალაქიდან ბრუნდებოდა.

A colorful illustration of a knight in a green helmet and blue armor riding a white horse with black stripes. They are moving through a winter forest with snow-covered trees and falling snowflakes. A brown bear is visible in the background, and a black bird is flying above.

აჩუ, ცხენო!

ესტატე სწრაფად
მიაჭენებდა ცხენს, რომ
შობას შინ შეხვედროდა.




ცხენიც თავს არ ზოგავდა და
მოქროდა გაყინულ გზაზე.

ესტატემ ცხენი სახლთან
მიაყენა და დაიძახა:



— ხალხო, სტუმარი არ გინდათ?



პაპა მოვიდა!
პაპა მოვიდა!

სონა და კოლა ურიამულით
გამოცვივდნენ აივანზე.



მერე კიბეზე ლამპით ხელში
გამოჩნდა ჩამრგვალებული
დედაკაცი. ეს იყო ესტატეს
მეუღლე, ეფემია.

— ადამიანო, გაგონილა ამ
შუალამისას სიარული?
ნადირის მაინც არ გეშინია? —
ბუტბუტებდა ეფემია.

ქალო, ეფემიავ,
ნადირი მე რას
შემაშინებს?!

— სათაგური არ მოიტანე?
ჩუსტები? წულები? საკაბე? —
შეეგებნენ ბავშვები პაპას.





ცოტა დაისვენოს
და მერე ქერს
დავუყრი!

— ყველაფერი მოგიტანეთ,
შვილებო, ყველაფერი! —
ამბობდა ესტატე და თან
ცხენს ხურჯინსა ხდიდა.

ესტატე შინ შევიდა და
გახურებულ ბუხარს მიაშურა.



ტკაც!

ხურჯინი ტახტზე დადო...